

მოგესალმებით!
წარმოგიდგენთ პრეზენტაციას თემაზე:
„ტექნოლოგიები, ციფრული სამყარო და ჩვენ“

პრეზენტაციის ავტორი: სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ
ხამისქურის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე საბა ქირია
თემის ხელმძღვანელი: ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი ნანა ლომაია

რამ განსაზღვრა ჩემი არჩევანი, თქვენს წინაშე წარმომედგინა თემა: „ტექნოლოგიები, ციფრული სამყარო და ჩვენ“

ყოველდღიურად დაახლოებით 5 მილიარდი ადამიანი იყენებს სმარტფონებს. ადამიანთა ურთიერთობები პრაქტიკულად სოციალურმა მედიამ ჩაანაცვლა, მათი დატვირთვის წყარო და ემოციური სტრესის მიზეზია ის, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა წარმართველი პოზიცია დაიკავა ურთიერთობებში. ვინაიდან ამ საკითხებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში, არჩევანიც, სწორედ, ამან განაპირობა.



ზოგიერთი რამ, რამაც დაგვაფიქრა და ჩვენი სასკოლო პრაქტიკის ნაწილად იქცა:

- ▶ ტექნოლოგიების მოზღვაება და ციფრული ურთიერთობები - XXI საუკუნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა;
- ▶ პრიორიტეტი-ციფრული ურთიერთობები;
- ▶ ტექნოლოგიებით სარგებლობისას დარღვეული ბალანსი.

ჩართულობა მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სკოლის საჭიროების კვლევაში - „ციფრული მოქალაქეობის ამაღლება.“

XXI საუკუნის გამოწვევებისადმი მოსწავლეთა მზაობა რომ ჩემი სკოლისთვის პრიორიტეტული თემაა, ამაში დამარწმუნა იმ კითხვარმა, რომელიც მასწავლებელმა შემოგვთავაზა მოსწავლეებს და ამით პრაქტიკულად მის მიერ განსახორციელებელი კვლევის ობიექტები გავხდით. კითხვარის შევსებისას ვგრძნობდი, რომ პრობლემა რეალური იყო და თითოეულ ჩვენგანს პირდაპირ თუ ირიბად შეეხებოდა. მივხვდი იმასაც, რომ მასწავლებელი კი არ ეწინააღმდეგებოდა ტექნოლოგიებსა და ციფრული სამყაროს, არამედ მიზნად ჰქონდა ჩვენთვის ამაღლებინა ციფრული მოქალაქეობა, რათა შეგვძლებოდა ციფრული ტექნოლოგიების უარყოფით და დადებით გავლენებს შორის სწორი არჩევანი გაგვეკეთებინა.

გამოვლენილი პრობლემის საპირწონედ მასწავლებლის მიერ განხორციელებული ინტერვენციები:

- მოსწავლეებისადმი პრეზენტაციის წარდგენა თემაზე: „აიმაღლე ცნობიერება, უპასუხე გამოწვევებს!“ (პრეზენტაციაში დეტალურად იყო წარმოდგენილი საკითხები სასკოლო საზოგადოებისადმი დასმულ კითხვებზე საპასუხოდ.)
- პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ დისკუსიის გამართვა მოსწავლე-მასწავლებლის ჩართულობით.
- შეხვედრა მშობლებთან, პრეზენტაცია თემაზე „გახდი ციფრული მშობელი, შექმენი უსაფრთხო ციფრული გარემო ყველაზე ახალგაზრდა წევრებისათვის.“
- პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ დისკუსია მშობელთა ჩართულობით.
- მოსწავლეებისადმი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება „კიბერბულინგზე“.
- ფილმის ნახვის შემდგომ დისკუსია ფილმის გარშემო.

მასწავლებლის მიერ განხორციელებული ინტერვენციების სასიკეთო შედეგები

- მოსწავლეებისადმი პრეზენტაციის წარდგენამ (თემა: „აიმაღლე ცნობიერება, უპასუხე გამოწვევებს!“) ხელი შეუწყო ჩვენში ცნობიერების დონის ამაღლებას ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებით.
- მშობლებისადმი წარდგენილი პრეზენტაციით (თემა: „გახდი ციფრული მშობელი, შექმენი უსაფრთხო ციფრული გარემო ყველაზე ახალგაზრდა წევრებისათვის.“) მათთვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხზე გამახვილდა ყურადღება. მშობლებისთვის ნათელი გახდა ტექნოლოგიების დადებითი მხარეები და პოტენციური რისკები.
- კიბერბულინგზე ფილმის ჩვენებამ და შემდგომ ჩვენივე ჩართულობით გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო ჩვენში თანაგრძნობისა და თანაგანცდის, ასევე კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას.

აქტივობები, რომელთა განხორციელებამ კიდეც ერთხელ დაგვარწმუნა ციფრული სამყაროს სიკეთეებში


- დამეგობრების მიზნით დისტანციური შეხვედრა სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან, ურთიერთგაცნობისას პრეზენტაციების წარდგენა საკუთარ რაიონზე, სოფელსა და სკოლაზე.
- საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა - „თუ ირჩევ ონლაინუსაფრთხოებას, შეიმეცნე რჩევები!“
- მოსწავლეთა შორის კონკურსი თემაზე „მე და 21-ე საუკუნის გამოწვევები.“
- კომპლექსური დავალება - „ვიდეომონოლოგი“.

გინდა იყო ციფრული მოქალაქე? გახსოვდეს შემდეგი:

- XXI საუკუნის გამოწვევა ციფრული მოქალაქეობაა, რისადმი მოსწავლეთა მზაობა აუცილებლობაა;
- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ციფრული ტექნოლოგიების სარგებლიანობა და შეეძლოთ მისი საგანმანათლებლო კუთხით გამოყენება;
- უნდა ახსოვდეთ, რომ ონლაინ ფსიქოთერაპია არის კომფორტი და საშუალება სახლიდან გაუსვლელად დახმარების მისაღებად. პოპულარული აპლიკაციების (Calm, Headspace) საშუალებით შესაძლებელია ვისწავლოთ მედიტაცია, სუნთქვის ტექნიკებისა და სტრესის მართვა. ახალი ტექნოლოგიები ითვალისწინებს პერსონალურ საჭიროებებს და აფართოებს ფსიქოლოგიური დახმარების საზღვრებს - ეს ყოველივე და ბევრი სხვაც გახლავთ ციფრული ტექნოლოგიების დადებითი მახასიათებელი.
- თუმცა ისიც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ციფრული ტექნოლოგიები ხშირად იწვევს ინფორმაციულ გადატვირთვასა და ყურადღების დაქვეითებას, შფოთვას, თვითშეფასების შემცირებასა და დეპრესიას. ეკრანთან გატარებული დროის გაზრდით ძილის კვალიფიკაცია მცირდება და კონცენტრაცია უარესდება, აღნიშნული კი უარყოფითი მახასიათებელია.
- უნდა გაითვალისწინონ, რომ ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობისას აუცილებელია ბალანსის დაცვა (ეკრანის დროის შემცირება, გონების დასვენება ძილის დარეგულირებით), რადგან ბალანსის დარღვევა იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს. ხოლო ტექნოლოგიების გონივრული და გაწონასწორებული გამოყენება, პირიქით, ხელს უწყობს მის შენარჩუნებას.

საბოლოო დასკვნები:

ციფრული ტექნოლოგია არის ძლიერი და მრავალმხრივი ინსტრუმენტი, რომელიც გვაყენებს როგორც უდიდესი შესაძლებლობების, ისე ახალი გამოწვევების წინაშე. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ვმართოთ იგი გონივრულად, რათა დავიცვათ თავი რისკებისაგან, გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. გონების მოფრთხილება და ტექნოლოგიების განვითარება შეიძლება იყოს ჰარმონიული კომბინაცია. მთავარია, ბალანსის პოვნა. დაე, ეს პრეზენტაცია იყოს შეხსენება იმისა, რომ ჩვენი გონება არის ჩვენი უმთავრესი იარაღი!



მადლობა ყურადღებისთვის!